

**SERMON ON THE FEAST DAY OF THE PROTECTION OF THE ALL HOLY
THEOTOKOS
FEAST DAY OCTOBER 1st 2019
(For the Sunday October 6)**

დადება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პატიოსანი სარტყლისა, სამოძვრო
ქადაგება
(ხსენების დღე 1 ოქტომბერი 2019)
კვირა, 6 ოქტომბერი 2019წ.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის პატიოსანი სარტყლის დადების დღესასწაული მთელს მართლმადიდებლურ სამყაროშია ცნობილი. ის აღნიშნება 1 ოქტომბერს (14 ოქტომბერი ძველი სტილით), ხოლო საბერძნეთის ეკლესიაში 28 ოქტომბერს - საბერძნეთის მეორე მსოფლიო ომისაგან დაცვის აღსანიშნავად.

თვითონ გამოთქმა „წმინდა სარტყელი“, რომელიც გამოიყენება ბერძნულ და რუსულ ენებში, გვახსენებს ჩვენ იმ აურაცხელ სასწაულებს, რომელსაც გვიჩვენებს ჩვენ ღვთისმშობლის დედობრივი სიყვარული. ესაა - დაცვა, ნავთსაყუდელი და თავშესაფარი, რომელსაც ყოვლადწმინდა დედა გვაძლევს ჩვენ განსაცდელის დროს, აგრეთვე განუმეორებელი დახმარება, რომელსაც ის გვიწევს ჩვენი ცხოვრების რთულ მომენტებში.

როგორ მოხდა რომ დღესასწაული დაწესდა 1 ოქტომბერს? მოდიოთ ერთად გავიხსენოთ ისტორიული მოვლენა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ უდიდეს დღესასწაულს. ღვთისმშობლის სარტყელის სასწაული მოხდა კონსტანტინოპოლში X საუკუნის შუა წლებში, ვლადიმერის ტაძარში, სადაც ინახებოდა ღვთისმშობლის კვართი. 1 ოქტომბერს ღამის ღვთისმსახურებაზე მოვიდა წმინდა ანდრია, ცნობილი როგორც ქრისტესთვის სალოსი (რადგან მან იტვირთა სულიერი გმირობა სალოსობისა). ანდრია სალოსთან ერთად მოვიდა მისი მოსწავლე ეპიფანე, რომელიც შემდეგში კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა. შუა ღამით წმ. ანდრია და ეპიფანე სასწაულის მოწამეები გახდნენ. მათ დაინახეს როგორ შემოვიდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ჰაერზე მომავალი საღვთო კარიბჭედან წმინდა საკურთხეველში. მარცხნიდან და მარჯვნიდან მას მხარს ედგნენ იოანე წინამორბედი და იოანე ღვთისმეტყველი, ის გარშემორტყმული იყო ანგელოზების გუნდით, მოციქულებით, წინასწარმეტყველებით, განმანათლებლებით და მრავალი დიდებული წმინდანებით, რომლებიც გალობდნენ.

როდესაც ღვთისმშობელი და მისი გარშემომყოფები მიუახლოვდნენ ამბიონს, წმ. ანდრიამ ეპიფანეს ჰკითხა:

- ხედავ შენ ქალბატონსა და ქვეყნის დედოფალს?

- „ვხედავ ჩემო სულიერო მამაო“ - უპასუხა ახალგაზრდა ადამიანმა.

მათ დაინახეს, როგორ მოიდრიკა მუხლი ღვთისმშობელმა და დიდხანს ილოცა. ის ემუდარებოდა თავის ძეს ქვეყნის ხსნისთვის, მას ცრემლით ენამებოდა წმინდა სახე, ლოცვის შემდეგ ის შევიდა საკურთხეველში და დაიწყო ტაძარში მყოფთათვის ლოცვა. ლოცვის დასრულების შემდეგ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა მოიხსნა მანათობელი თავსაბურავი, რომელსაც თავზე მოკრულს ატარებდა (ჩვენ ვხედავთ ამ წითელ მოსასხამს, რომელიც თავსა და ტანს უფარავს ღვთისმშობელს, ხატებზე რომლებზეც ისაა გამოსახული) და ეს წმინდა სარტყელი თავისი წმინდა ხელებით დიდი ზეიმით გადააფარა იქ მდგომარე ხალხს. წმ. ანდრია და ეპიფანე ხედავდნენ, გადაფარებული სარტყელი როგორ ეკიდა მათ თავზე და როგორ ანათებდა ციური სხივით. სანამ ღვთისმშობელი ტაძარში იმყოფებოდა სარტყელი ჩანდა და ანათებდა. ხოლო როცა ღვთისმშობელი ზეცაში ავიდა, სარტყელი ნელ-ნელა დაპატარავდა და ბოლოს გაქრა, ხოლო ხალხზე მაღლი გადმოვიდა.

სწორედ ამ სასწაულმა ღვთისმშობლისა და მისი სარტყლისა და სხვა სასწაულებმა წმინდა ღვთისმშობლისა განაპირობეს პატიოსანი სარტყელის დღესასწაულის დაწესება. მაღლისა და მფარველობის დღესასწაული, რომელსაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ანიჭებს ყველას, ვინც ლოცულობს და რწმენით სთხოვს თანადგომას ციურ დედოფალს.

ყოვლადწმი და დედოფალმა უჩვენა ადამიანებს ურიცხვი სასწაული. ამბობენ, რომ როდესაც კონსტანტინოპოლი ზღვიდან მტრების გემებით იყო გარშემორტყმული, პატრიარქმა აილო ვლადიმერის ტაძრიდან ღვთისმშობლის წმინდა სარტყელი და ზღვაში ჩაუშვა. ამან იმ წამსვე დიდი შტორმი გამოიწვია, ბევრი ხომალდი ჩაიძირა, ხოლო დანარჩენები შეშინებულები უკან გაბრუნდნენ. უკვე მეოცე საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის დროს, ყოვლადწმი და ღვთისმშობელი ბევრჯელ ეცხადებოდა ბერრენ ჯარისკაცებს სანგრებში და იცავდა მათ მტრის ცეცხლისგან.

როგორ ხშირად გვიფარავს და გვიცავს ღვთისმშობელი ჩვენ გაჭირვებისა და საფრთხის დროს! სწორედ ამიტომ მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა უნდა მივმართოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ჩვენს მოსიყვარულე დედას ტკივილის, გაჭირვებისა და უბედურების დროს. მოდით მოვიქცეთ ღვთისმშობლის სარტყელის მფარველობის ქვეშ ყოველი ჩვენი გაჭირვების დროს, ვეძებოთ მისი დაცვა და თავშესაფარი. მოდით მოვიხსენოთ, მხურვალედ ვმადლობდეთ და განვადიდოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი სადღესასწაულო გალობით:

„ყოველნი ანგელოსნი ქებისა გალობასა შემოგწირვენ შენ, ჭეშმარიტსა დედასა ღმრთისასა და მეოხსა ყოველთა მისდა მილტოლვილთასა, უწყიან, რაი, ვითარმედ უბრძოლველთა საფარველთა შენითა წმიდათა განამხიარულებ, ცოდვილთა მეოხ - ექმნები, ჭირთა შინა მყოფთა განსაცდელთაგან განარიდებ და ლოცვასა აღავლენ მორწმუნეთათვის, რომელნი ხმობენ ღმრთისა მომართ...“(9 კონდაკი).

მოდით მივმართოთ ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადღესასწაულო გალობით:
„პატიოსნითა საფარველთა შენითა დამიფარენ ჩვენ და მიხსენ ყოვლისაგან ბოროტისა, რომელნი შევუვრდებით ქრისტესა, ძესა შენსა და ღმერთისა ჩვენსა, და აცხოვნენ სულნი ჩუენნი“ (ტროპანი ხმა 4).

დაე ყოვლადწმი და ღვთისმშობლის საფარმა დაგვიფაროს და დაგვიცვას ყველა ჩვენგანი და მიმადლოს მთელ ქვეყანას მშვიდობა.